



Group of States against Corruption  
Groupe d'États contre la corruption

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

შეფასებ  
ის

მეოთხე

რატად

მიღების თარიღი: 2024 წლის 22 მარტი  
გამოქვეყნება : 2024 წლის 3 ივლისი

საჯგრო  
GrecoRC4(2024)2

## შეფასების მეოთხე რატად

კორუფციის პრევენცია პარლამენტის წევრებთან,  
მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებით

### მეორე დნართ შესაბამისობის მეორე ანგარიშზე

### საქაროგელო

მიღებულია GRECO-ს მიერ96-ე პლენარულხდმაზე  
(სტრასბურგი, 18-22 მარტი, 2024 წ.)

## **I. შესავალი**

1. შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართში შეფასებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ზომები საქართველოს შესახებ მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, რომელიც მოიცავს „კორუფციის პრევენციას პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებით“. საქართველოს შესახებ შეფასების ანგარიში მიღებულ იქნა GRECO-ს 74-ე პლენარულ სხდომაზე (2016 წლის 2 დეკემბერს) და გამოქვეყნდა 2017 წლის 17 იანვარს საქართველოს თანხმობის საფუძველზე.

2. შესაბამისობის ანგარიში მიღებულ იქნა GRECO-ს ს 82-ე პლენარულ სხდომაზე (2019 წლის 22 მარტი) და გამოქვეყნდა 2019 წლის 2 ივლისს საქართველოს თანხმობის საფუძველზე. შესაბამისობის მეორე ანგარიში მიღებულ იქნა GRECO-ს 87-ე პლენარულ სხდომაზე (2021 წლის 25 მარტი) და გამოქვეყნდა 2021 წლის 12 აპრილს საქართველოს თანხმობის საფუძველზე. შესაბამისობის მეორე ანგარიშზე დანართი მიღებულ იქნა GRECO-ს 91-ე პლენარულ სხდომაზე (2022 წლის 17 ივნისი) და გამოქვეყნდა 2022 წლის 13 ივლისს საქართველოს თანხმობის საფუძველზე.

3. GRECO-ს რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ წარადგინა სიტუაციური ანგარიში შემდგომი ზომების შესახებ, რომლებიც გატარდა შეუსრულებელი რეკომენდაციების განხორციელების მიზნით. ეს ანგარიში მიღებულ იქნა 2023 წლის 29 სექტემბერს და დამატებით ინფორმაციასთან ერთად საფუძველად დაედო შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართს.

4. GRECO-მ შეარჩია ესტონეთი (პარლამენტის წევრებთან მიმართებით) და ამერიკის შეერთებული შტატები (მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებით) შესაბამისობის პროცედურასთან დაკავშირებით მომხსენებლების დანიშვნის მიზნით. მომხსენებლებად დაინიშნენ ქალბატონი კატლინი-კრის კრუუსმაა ესტონეთის სახელით და ქალბატონი მიშელ მორალესი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით. შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართის შემუშავებაში მათ დაეხმარა GRECO-ს სამდივნო.

## **II. ანალიზი**

5. თავის შეფასების ანგარიშში, GRECO-მ საქართველოს განუსაზღვრა 16 რეკომენდაცია. შესაბამისობის პროცედურის წინა ეტაპებზე რვა რეკომენდაცია (კერძოდ, რეკომენდაციები v, vi, x, xi, xii, xiii, xv და xvi) დამაკმაყოფილებლად შესრულდა ან დამაკმაყოფილებელი წესით დარეგულირდა, ექვსი რეკომენდაცია (კერძოდ, რეკომენდაციები i, ii, iii, iv, vii და viii) ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო ორი რეკომენდაცია (კერძოდ, რეკომენდაციები ix და xiv) არ შესრულდა. ქვემოთ მოცემულია რვა შეუსრულებელი რეკომენდაციის ანალიზი შესაბამისობის კუთხით.

*პარლამენტის წევრებთან მიმართებით კორუფციის პრევენცია*

### **რეკომენდაცია i**

6. GRECO-ს რეკომენდაციით, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობა, მათ შორის, კანონპროექტების, კანონპროექტებში შეტანილი

ცვლილებებისა და კომიტეტის საქმიანობასთან (შეხვედრების დღის წესრიგისა და შედეგების ჩათვლით) დაკავშირებული ინფორმაციის ეფექტიანად და დროულად გამოქვეყნებისა და საჯარო კონსულტაციების პროცედურის მარეგულირებელი უნიციირებული ნორმატიული ბაზის შემუშავების გზით.

7. GRECO მიუთითებს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია იმ ნაბიჯების გამო, რომლებიც გადაიღვა საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობის გასაზრდელად (განახლდა პარლამენტის ვებგვერდი და პარლამენტის კომიტეტების ვებგვერდები, რეგულარულად ქვეყნდება კანონპროექტები და ცვლილებები, ასევე ცვლილებები შევიდა რეგლამენტში პარლამენტის კომიტეტების მუშაობის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით). მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსულტაციების პროცედურა დეტალური იყო, როგორც ეს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით არის გათვალისწინებული, პარლამენტს არ ჰქონდა კანონით დადგენილი ვალდებულება პროაქტიულად გაეწია კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან მთავრობის ან პარლამენტის მიერ ინიცირებულ გარკვეულ კანონპროექტებთან დაკავშირებით.

8. უფლებამოსილი ორგანოების ინფორმაციით რეგლამენტში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც ძალაში შევიდა 2022 წლის ივნისში, გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. ცვლილებები ითვალისწინებს მხოლოდ კომიტეტის სხდომების ნაწილობრივ დახურვას და პარლამენტის კომიტეტების დასრულებული სხდომების ოქმებისა და აუდიოჩანაწერების გამოქვეყნების დეტალურ წესებს და არეგულირებს პარლამენტის კომიტეტების სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირებისა და მუშაობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების პროცესს. პარლამენტის კომიტეტებმა უკვე შეასრულეს მიღებული წესები სამუშაო ჯგუფების შექმნით და დღის წესრიგისა და ანგარიშების საჯაროდ გამოქვეყნებით. 2022 წლის 1 სექტემბრიდან YouTube პლატფორმაზე შესაძლებელი გახდა პარლამენტის პლენარული და კომიტეტის სხდომების, ასევე ბიუროს სხდომებისა და სხვა საპარლამენტო ღონისძიებების ტრანსლირება. მომავალი ცვლილებების პროექტი საკომიტეტო განხილვების/მოსმენების სტენოგრამის პროაქტიულ გამოქვეყნებას მოიცავს. გარდა ამისა, უფლებამოსილი ორგანოები მიუთითებენ რეგლამენტის დებულებებზე, რომლებიც მოცემულია შესაბამისობის მეორე ანგარიშში. მათი აზრით, პარლამენტი საკანონმდებლო პროცესში ეფექტური და შინაარსიანი კონსულტაციების საშუალებას იძლევა. ამის დასტურია ასევე საქართველოს პარლამენტსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის 2023 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც, ხელისუფლების აზრით, დადებითად შეფასდა ევროკომისიის 2023 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ<sup>1</sup>.

9. GRECO ითვალისწინებს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილ ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფს პარლამენტის პლენარული და კომიტეტის სხდომების დღის წესრიგისა და ოქმების გამოქვეყნებას. ეს არის მისასალმებელი ცვლილებები, რომელიც ხელს უწყობს საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას. თუმცა, რეკომენდაცია ასევე მოითხოვს პარლამენტისგან კანონმდებლობის შესახებ ეფექტური და მნიშვნელოვანი კონსულტაციების მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას (მაგალითად, პარლამენტისთვის მოთხოვნით, რომ საზოგადოებამ შეძლოს წერილობითი კომენტარების წარდგენა, საკუთარი ინტერესებისა და პრობლემების გონივრულ ვადაში ფორმულირება, საჯარო

<sup>1</sup><https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/86d42452-7eee-11ee-99ba-01aa75ed71a1/language-en> (იხილეთ, კერძოდ, გვ. 12).

მოსმენების ან დებატების ორგანიზება, რათა განიხილონ და შეისწავლონ კანონპროექტები, შეაგროვონ, შეაფასონ და დაასაბუთონ საზოგადოების მხრიდან გამოთქმული კომენტარების გაუთვალისწინებლობა, გამოაქვეყნონ განახლებული კანონპროექტი საზოგადოების მიერ მიღებული კომენტარების გათვალისწინებით და ა.შ.). პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ის მაინც საჭიროებს გაუმჯობესებას მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნით, როგორც ამას რეკომენდაცია მოითხოვს.

10. GRECO-ს დასკვნით, რეკომენდაცია i რჩება ნაწილობრივ შესრულებულად.

### **რეკომენდაცია ii**

11. GRECO-ს რეკომენდაციით (i) მიღებულ უნდა იქნას სამართლებრივი ძალის მქონე ეთიკის/ქცევის კოდექსი, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ინტერესთა კონფლიქტის სხვადასხვა შემთხვევები (მაგ.: საჩუქრები და სხვა სახის სარგებელი, ინტერესთა კონფლიქტი, დამატებითი საქმიანობა და ფინანსური ინტერესები, მესამე მხარესთან, მათ შორის, ლობისტებთან არსებული კონტაქტები) და ის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის; (ii) კოდექსთან ერთად, მისი განხორციელების მიზნით, უნდა შემუშავდეს პრაქტიკული ზომები, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და სპეციალიზებული ტრენინგი, კონფიდენციალური კონსულტაცია და მონიტორინგის სანდო მექანიზმი.

12. GRECO მიუთითებს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. რეკომენდაციის პირველი ნაწილი სრულად შესრულდა 2019 წელს პარლამენტის წევრებისთვის ქცევის კოდექსის მიღებით. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, ეთიკის საბჭოს მუშაობა ჯერ არ დაუწყია და კოდექსის სავარაუდო დარღვევებზე გადაწყვეტილება არ მიუღია, ისევე როგორც კონფიდენციალური კონსულტაციები პარლამენტის წევრებისათვის ჯერ არ ჩაუტარებია.

13. უფლებამოსილ ორგანოებს ახალი ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ.

14. წინსვლის არარსებობის პირობებში, GRECO ასკვნის, რომ რეკომენდაცია ii რჩება ნაწილობრივ შესრულებულად.

### **რეკომენდაცია iii**

15. GRECO-ს რეკომენდაციით, შემოღებულ უნდა იქნას ინფორმაციის დაუყოვნებლივ (საგანგებო წესით) გამჟღავნების მოთხოვნა იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი პარლამენტის ცალკეულ წევრთა კერძო ინტერესებსა და პარლამენტში განსახილველ საკითხს შორის. ამასთან, უნდა შემუშავდეს მკაფიოდ ფორმულირებული წესები ამგვარი სიტუაციების განსახილველად და ზემოაღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირება უნდა დაექვემდებაროს მონიტორინგს.

16. GRECO მიუთითებს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. პარლამენტის წევრებისათვის ნებისმიერი ბიზნესსაქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების კანონით დადგენილი მოთხოვნები ძალიან ვიწრო აღმოჩნდა და არ იქნა მიღწეული პროგრესი პარლამენტის წევრებისთვის საგანგებო წესით ინტერესთა კონფლიქტების გამჟღავნების ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

17. უფლებამოსილ ორგანოებს ახალი ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ.

18. წინსვლის არარსებობის პირობებში, GRECO-ს დასკვნით, რეკომენდაცია iii რჩება ნაწილობრივ შესრულებულად.

*მოსამართლეთა მიმართებით კორუფციის პრევენცია*

#### **რეკომენდაცია iv**

19. GRECO-ს რეკომენდაციით, უნდა განხორციელდეს მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების პროცედურების რეფორმირება, მათ შორის, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ის, რომ აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები ა) მიიღებოდეს მკაფიოდ ფორმულირებულ და ობიექტურ, წინასწარდადგენილ კრიტერიუმებზე, კერძოდ, დამსახურებაზე დაყრდნობით, გამჭვირვალედ და წერილობითი დასაბუთებით, და ბ) საჩივრდებოდეს სასამართლოში.

20. GRECO აღნიშნავს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევისა და წარდგენის პროცესი აკმაყოფილებდეს ამ რეკომენდაციის მოთხოვნებს. მეტი ძალისხმევა იყო საჭირო იმის დემონსტრირებისთვის, რომ ეს პრაქტიკა გავრცელებულიყო ყველა მოსამართლის (გარდა უზენაეს სასამართლოში დანიშნულებისა) დანიშვნასა და დაწინაურებაზე.

21. უფლებამოსილი ორგანოების ინფორმაციით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2023 წლის 13 ივნისის ცვლილებების შემდეგ, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნა განხორციელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისათვის გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე სრული სურათის მისაღებად, უკეთ გასაგებად და შესაფასებლად, ქვემოთ მოცემული 22-25 პუნქტები ასახავს მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების პროცესის მიმოხილვას.

22. რაც შეეხება მოსამართლეობის კანდიდატებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის<sup>2</sup> 34-ე მუხლი ადგენს მოსამართლის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. შერჩევის ზოგადი კრიტერიუმების გარდა<sup>3</sup>, 34 (2) მუხლი ითვალისწინებს დისკვალიფიკაციის გარკვეულ კრიტერიუმებს<sup>4</sup>. 35-ე მუხლის თანახმად, პირი რაიონული

<sup>2</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (LCC).

<sup>3</sup> 34 (1) მუხლის თანახმად, „მოსამართლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში“.

<sup>4</sup> 34 (2) მუხლის თანახმად, „მოსამართლის თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს ნასამართლევი პირი, აგრეთვე პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღარ არსებობს ამ კანონის XIII<sup>1</sup> თავის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც პირი გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან) ან იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით“.

(საქალაქო) ან სააკველაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე განწესდება 3 წლის ვადით, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – უვადოდ<sup>5</sup>. რაიონულ (საქალაქო) ან სააკველაციო სასამართლოში სამი წლის ვადით მოსამართლის განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის ჩატარებას საჯაროდ აცხადებს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოსა და თავისი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში. მოსამართლეობის კანდიდატი შეფასდება ორი ძირითადი კრიტერიუმის – კეთილსინდისიერებისა<sup>6</sup> და კომპეტენტურობის<sup>7</sup> საფუძველზე 35<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, რომელიც დამატებით ადგენს დეტალურ მითითებებს თითოეული კრიტერიუმის შემადგენელი ელემენტების შესაფასებლად. 35<sup>3</sup> მუხლი ითვალისწინებს, რომ მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისას მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას<sup>8</sup>. გადაწყვეტილებები მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კენჭისყრის პროცესში შესაბამისი წევრის მონაწილეობის გარეშე. პირის მოსამართლედ განწესების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედით, რომლებიც ხელმძღვანელობენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისათვის დადგენილი პროცედურით (იხ. ქვემოთ 24 -ე პუნქტი). 19<sup>1</sup> (1) მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მოსამართლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

23. 36-ე მუხლის მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით. უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ექვსი შეფასების ანგარიშის საფუძველზე, რომლებიც შედგენილია რეგულარული ინტერვალებით სხვადასხვა შემფასებლის მიერ (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე წევრის მიერ) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. შესაბამისი მოსამართლე ინფორმირებულია შეფასების პროცედურის მიზნისა<sup>9</sup> და შემფასებელთა ვინაობის შესახებ. შესაბამისი მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს შემფასებლების აცილება ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ შემფასებლები არახელსაყრელ დასკვნებს გამოიტანენ, ანუ თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლე არ აკმაყოფილებს

<sup>5</sup> განწესება სამი წლის ვადით განხორციელდება 2024 წლის 31 დეკემბრამდე. 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის თანახმად, 2025 წლის 1 იანვრიდან მოსამართლეები განწესდებიან უვადოდ, სამი წლის ვადით ყოველგვარი წინასწარი დანიშვნის გარეშე.

<sup>6</sup> კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ელემენტებია: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

<sup>7</sup> კომპეტენტურობის კრიტერიუმის ელემენტებია: სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა.

<sup>8</sup> [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2023\)007-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2023)007-e)

<sup>9</sup> 36<sup>4</sup> მუხლში მოცემულია დეტალები მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცედურის შესახებ, რომელიც, მათ შორის, გულისხმობს მოსამართლის სამოსამართლო საქმიანობის შეფასებას, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილ ხუთ საქმეს, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმს ან/და მოსამართლისთვის მინიჭებული ქულების ოდენობა კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით არ შეადგენს არსებული ქულების საერთო რაოდენობის 70%-ს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უარს იტყვის მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ საკითხის განხილვაზე. თავმჯდომარის უარი შეიძლება გასაჩივრდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. საჩივრის განხილვის შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ღია კენჭისყრით, სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების გაუქმებისა და შესაბამის მოსამართლესთან გასაუბრების ჩატარების შესახებ. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია კენჭისყრის დროს თავისი გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება წარუდგინოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს კენჭისყრის დასრულებისთანავე. კენჭისყრის შედეგები, კენჭისყრის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე ასეთი გადაწყვეტილებების დასაბუთება უნდა გამოქვეყნდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. ასევე უნდა გამოქვეყნდეს განსხვავებული მოსაზრებები. 19<sup>1</sup> (1) მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მოსამართლის უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში 36<sup>5</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით.

24. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის დაწინაურების საკითხს, 41-ე მუხლი ადგენს, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმებს შეიმუშავენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კონკურსის გარეშე ინიშნება იმავე ინსტანციის სხვა სასამართლოში ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (ე. ი. მოსამართლის უფლებამოსილებას ასრულებდა ხუთი წლის განმავლობაში). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13<sup>1</sup> მუხლი არეგულირებს მოსამართლის სხვა სასამართლოში კონკურსის გარეშე დანიშვნის წესს და ადგენს შესაბამის კრიტერიუმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13<sup>1.11</sup> მუხლის თანახმად, მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თუ მისი კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული და მორალური რეპუტაცია შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას და აქვს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლედ მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება. ვაკანსიის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ, საერთო სასამართლოების ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია წერილობითი ფორმით გააკეთოს განაცხადი. იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს განაცხადებს და იწვევს კანდიდატებს გასაუბრებაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს ნიშნავს სხვა სასამართლოს მოსამართლედ, თუ კანდიდატს მხარს უჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, ფარული კენჭისყრით. გადაწყვეტილების დასაბუთება საჯაროა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სასამართლოებში.

25. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევისა და არჩევის პროცესს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იწყებს პროცედურას 34<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად. დაინტერესებულმა კანდიდატებმა საბუთების საჭირო



ჩამონათვალთან ერთად უნდა წარმოადგინონ სტანდარტული განცხადების ფორმა. განაცხადების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამზადებს რეგისტრირებული კანდიდატების სიას და აქვეყნებს მას ვებგვერდზე. შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირებს, რომლებიც ვერ მოხვდნენ დარეგისტრირებულ კანდიდატთა სიაში, შეუძლიათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივრის განხილვის დასრულების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო აწყობს თითოეულ კანდიდატთან საჯარო მოსმენას. საჯარო მოსმენების ბოლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თითოეულ კანდიდატს ანიჭებენ ქულებს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, ასევე აფასებენ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს და წერილობით ასაბუთებენ თითოეულ ქულას და კრიტერიუმების თითოეულ ელემენტს. შეფასებები და დასაბუთებები შეიცავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელს, გვარს და ხელმოწერას. ყველა ეს ინფორმაცია გამოქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. შეფასების გამოქვეყნების შემდეგ, საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, სადაც მითითებულია ის კანდიდატები, რომლებიც შემდეგ ეტაპზე გადავიდნენ და ასევე ის კანდიდატები, რომლებმაც ვერ მიაღწიეს წარმატებას. წარუმატებელ კანდიდატებს შეუძლიათ გაასაჩივრონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მათთვის უარის თქმის შესახებ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში 34<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლით. შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ღია სხდომაზე კენჭს უყრის თითოეულ წარმატებულ კანდიდატს ინდივიდუალურად შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში კენჭი ეყრება კანდიდატს, რომელმაც აჩვენა საუკეთესო შედეგი წარმატებულ კანდიდატებს შორის, ხოლო დანარჩენ კანდიდატებს კენჭი ეყრებათ თანმიმდევრობით. თუ რომელიმე კანდიდატი ვერ მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის მინიმუმ ორი მესამედის მხარდაჭერას, დანარჩენ კანდიდატებს კენჭი აღარ ეყრებათ. კენჭისყრაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, კენჭისყრის დასრულებისთანავე, წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს კენჭისყრისას დაფიქსირებული თავისი გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებას, რომელიც ჩაწერილია კენჭისყრის დროს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევისთვის კანდიდატი პარლამენტს წარედგინება, თუ მას მხარს უჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კენჭისყრის შედეგები, კენჭისყრის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე ამ გადაწყვეტილებების დასაბუთებები გამოქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. 36 (2) მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ამ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

26. GRECO აღნიშნავს, რომ რეკომენდაციის შესრულების შეფასებისას ზოგადი კომენტარების სახით, იგი ხელმძღვანელობს შეფასების ანგარიშში გაკეთებული დასკვნებით (მოცემულია 92-94 პუნქტებში), რაც რეკომენდაციის მიღების საფუძველი გახდა, ასევე რეკომენდაციის შესრულების შუალედური განვითარებით და GRECO-ს შემდგომი შეფასებით. GRECO-ს შეუძლია დაეყრდნოს სხვა ანგარიშებს და შესაბამისობის ფარგლებში გაითვალისწინოს მათი დასკვნები. შეფასების ანგარიშში, GRECO-მ დაადგინა, რომ მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების პროცესი და კრიტერიუმები არ არსებობდა ან გაურკვეველი იყო დარომ გადაწყვეტილების მიღების პროცესს აკლდა გამჭვირვალობა, ობიექტურობა და დასაბუთებულობა, ხოლო კენჭისყრა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იყო ფარული და საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე.



27. GRECO მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საკანონმდებლო დებულებების გათვალისწინებით, მოსამართლეთა შერჩევა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ან სააპელაციო სასამართლოებში, იქნება ეს სამი წლის ვადით თუ უვადოდ, უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო კრიტერიუმების შეფასებას (კერძოდ, კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობას). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ღია კენჭისყრით, საბჭოს თითოეული წევრის მიერ უნდა დასაბუთდეს მიღებული გადაწყვეტილება, ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, ხოლო წარუმატებელ კანდიდატებს უნდა მიეცეთ უფლება გაასაჩივრონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები. იგივე შეფასებები თანაბრად ვრცელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესზე, რომელიც, ჩანს, რომ არის ღია, გამჭვირვალე და ობიექტური. GRECO იმედოვნებს, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში გამოყენება შესაბამისობაში იქნება ამ რეკომენდაციის მოთხოვნებთან.

28. ამასთან, GRECO სერიოზულად არის შეშფოთებული, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის კონკურსის გარეშე სააპელაციო სასამართლოში დაწინაურების პროცედურა არ რეგულირდება მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმებით და, შესაბამისად, არ შეესაბამება გამჭვირვალობისა და მერიტოკრატიის პრინციპებს (გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შეფასება არ არის საჯარო). სწორედ ამ მიზეზით, რეკომენდაცია ნაწილობრივზე მეტად არ შესრულებულა. საბოლოოდ, GRECO-ს დასკვნები არ ზღუდავს ვენეციის კომისიის მიერ 2022-2023 წლებში საქართველოში სასამართლო რეფორმის ფარგლებში მიღებული დასკვნების სერიას, რომელიც სცილდება ამ რეკომენდაციის ფარგლებს.

29. GRECO დასკვნით, რეკომენდაცია iv რჩება ნაწილობრივ შესრულებულად.

## რეკომენდაცია vii

30. *GRECO-მ გასცა რეკომენდაცია (i) „სასამართლო ეთიკის სტანდარტების“ განახლებაზე, ყველა მოსამართლისთვის მის გაცნობასა და საზოგადოებისთვის ადვილად მისაწვდომობაზე; (ii) რომ შესატანია პრაქტიკული ზომები წესების განსახორციელებლად, როგორცაა შემდგომი წერილობითი ინსტრუქციები და განმარტებები, შემდგომი ტრენინგი და კონფიდენციალური რჩევები.*

31. GRECO მიუთითებს რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. რეკომენდაციის პირველი ნაწილი სრულად შესრულდა. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, აუცილებელი იყო დამატებითი ზომების გატარება სასამართლო ეთიკის მიღებულ წესებზე კომენტარის მოსამზადებლად, მოსამართლეების შემდგომი გადამზადებისა და კონფიდენციალური კონსულტაციის უზრუნველსაყოფად.

32. უფლებამოსილი ორგანოების ინფორმაციით, 2023 წელს მოსამართლეობის 49 კანდიდატს ჩაუტარდა სამოსამართლო ეთიკის საბაზისო კურსი. გარდა ამისა, 2023 წელს 82 მოსამართლე გადამზადდა სამოსამართლო ეთიკის განახლებული წესების შესაბამისად. ასევე, 2023 წლის მარტში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შექმნა სამუშაო ჯგუფი სამოსამართლო ეთიკის განახლებულ წესებზე კომენტარების მოსამზადებლად, რომელიც ამჟამად კომენტარის მომზადების დასკვნით ეტაპზეა.

33. GRECO აღნიშნავს, რომ მოსამართლეები და მოსამართლეობის კანდიდატები გადიან გადამზადებას სამოსამართლო ეთიკის განახლებულ წესებზე და რომ მუშაობა გრძელდება კომენტარის მომზადებაზე, რომელიც მოლოდინია, რომ უნდა შეიცავდეს პრაქტიკულ ზომებსა და მაგალითებს წესების განსახორციელებლად. კონფიდენციალური კონსულტაციების გაწევის შესახებ ინფორმაცია არ იყო მოწოდებული.

34. GRECO-ს დასკვნით, რეკომენდაცია vii რჩება ნაწილობრივ შესრულებულად.

#### **რეკომენდაცია viii**

35. *GRECO-ს რეკომენდაციით, მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი ზომები მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინარული საქმისწარმოების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გასაძლიერებლად, მათ შორის, უფრო ზუსტად უნდა განისაზღვროს დისციპლინარული გადაცდომები; უზრუნველყოფილი უნდა იქნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენილი საჩივრების საფუძვლიანი განხილვა, და მოთხოვნილ იქნას საჩივრის უარყოფასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დასაბუთება, საჩივრის ავტორისთვის შეტყობინება და გადასინჯვა; შემოღებულ იქნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა მიღება ხმების უბრალო უმრავლესობით; გაუქმდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილება.*

36. GRECO მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. ერთადერთი გადაუჭრელი საკითხი ეხებოდა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობას.

37. უფლებამოსილ ორგანოებს ახალი ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ.

38. წინსვლის არარსებობის პირობებში, GRECO ასკვნის, რომ რეკომენდაცია viii ნაწილობრივ შესრულდა.

#### **რეკომენდაცია ix**

39. *GRECO-ს რეკომენდაციით, მოსამართლეთა იმუნიტეტი უნდა შემოიფარგლებოდეს იმ საქმიანობით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებასთან („ფუნქციონალური იმუნიტეტი“).*

40. GRECO მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

41. უფლებამოსილ ორგანოებს ახალი ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ.

42. წინსვლის არარსებობის პირობებში, GRECO ასკვნის რომ რეკომენდაცია ix კვლავ შეუსრულებელია.

*პროკურორებთან მიმართებით კორუფციის პრევენცია*

#### **რეკომენდაცია xiv**

43. GRECO-ს რეკომენდაციით, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა გაფართოვდეს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარმდგენ თანამდებობის პირთა წრე და ქონების დეკლარირება უნდა შეეხოს ყველა პროკურორს.

44. GRECO მიუთითებს, რომ ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა, მაშინ როდესაც საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ითვალისწინებდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის რეჟიმის გავრცელებას ყველა პროკურორზე.

45. უფლებამოსილი ორგანოების ინფორმაციით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში<sup>10</sup> შეტანილმა ცვლილებებმა, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 24 მაისს, გააფართოვა დეკლარაციის რეჟიმს დაქვემდებარებული „თანამდებობის პირის“ განმარტება მე-2 მუხლის მოქმედების სფეროს ყველა პროკურორზე გავრცელებით. შედეგად, ყველა პროკურორმა წარუდგინა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები საჯარო სამსახურის ბიუროს, რომელიც შეცვალა ანტიკორუფციულმა ბიურომ 2023 წლის 1 სექტემბერს. დეკლარაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია<sup>11</sup>.

46. GRECO მიესალმება კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, რომელმაც ყველა პროკურორისთვის დაამკვიდრა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება და ასკვნის, რომ რეკომენდაცია xiv დამაკმაყოფილებლად შესრულდა.

### III. დასკვნები

47. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, GRECO ასკვნის, რომ საქართველომ დამაკმაყოფილებლად შეასრულა ან დამაკმაყოფილებელი წესით დაარეგულირა შეფასების მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიშში მითითებული თექვსმეტი რეკომენდაციიდან ცხრა რეკომენდაცია.** დარჩენილი რეკომენდაციებიდან ექვსი შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ერთი არ შესრულებულა.

48. უფრო კონკრეტულად, დამაკმაყოფილებლად შესრულდა ან დამაკმაყოფილებელი წესით დაარეგულირდა განხილული v, vi, x, xi, xii, xiii, xiv, xv და xvi რეკომენდაციები, ნაწილობრივ შესრულდა i, ii, iii, iv, vii და viii რეკომენდაციები, ხოლო რეკომენდაცია ix არ შესრულებულა.

49. პარლამენტის წევრებთან მიმართებით, ხელისუფლებამ მიიღო ზომები პარლამენტის მუშაობის გამჭვირვალობის გასაძლიერებლად პარლამენტის ვებგვერდისა და პარლამენტის კომიტეტების ვებგვერდების განახლებით, პარლამენტის კომიტეტების სხდომების ოქმებისა და აუდიოჩანაწერების გამოქვეყნებით, ასევე პლენარული სხდომებისა და პარლამენტის კომიტეტების სხდომების ჩანაწერების ხელმისაწვდომობით სოციალურ ქსელებში. თუმცა, ზოგიერთ საკითხზე წინსვლა არ შეინიშნება. კანონპროექტების შემუშავების პროცესში ეფექტური და მნიშვნელოვანი საჯარო კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი ჩარჩო არ არსებობს, პროგრესი არ შეიმჩნევა კონფიდენციალური რჩევების მიწოდებასა და ეთიკის საბჭოს მუშაობასთან

<sup>10</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5802168?publication=0#DOCUMENT:1>

<sup>11</sup> <https://declaration.acb.gov.ge/?cult=en-US>

დაკავშირებით პარლამენტის წევრების ქცევის კოდექსის მონიტორინგის მიზნით, და არ არსებობს პარლამენტის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის დაუყოვნებლივ გამჟღავნების ვალდებულება. GRECO მოუწოდებს ხელისუფლებას, განახორციელოს შეუსრულებელი რეკომენდაციები პარლამენტის წევრთა კეთილსინდისიერების სისტემის გაძლიერების მიზნით.

50. რაც შეეხება მოსამართლეებს, GRECO აღნიშნავს დადებით დინამიკას მოსამართლეობის კანდიდატების რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ან სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე სამი წლის ვადით ან უვადოდ დანიშვნის პროცესთან და პროცედურასთან, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით. ამასთან, სერიოზული ძალისხმევაა საჭირო, რათა მოსამართლეთა დაწინაურების პროცესი სააპელაციო სასამართლოებში შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და მერიტოკრატიასთან მიმართებით GRECO-ს რეკომენდაციებს. ასევე, ხელისუფლების ორგანოებისგან მოთხოვნილია, რომ შეზღუდოს მოსამართლეთა იმუნიტეტი, რაც აუცილებელია სამოსამართლო ფუნქციათა განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ფუნქციურ იმუნიტეტს.

51. რაც შეეხება პროკურორებს, GRECO მიესალმება ყველა რეკომენდაციის შესრულებას და კერძოდ აღნიშნავს, რომ ყველა პროკურორი ექვემდებარება ქონების, ინტერესებისა და ვალდებულებების გამჟღავნების მოთხოვნებს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

52. შესაბამისობის მეორე ანგარიშის მეორე დანართის მიღება საქართველოსთან მიმართებაში ასრულებს შესაბამისობის პროცედურის მეოთხე რაუნდს. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებას შეიძლება სურდეს GRECO-ს მიაწოდოს ინფორმაცია შემდგომი ქმედებების შესახებ, რაც დაკავშირებულია შეუსრულებელი რეკომენდაციების i-iv და vii-ix შესრულებასთან.

53. და ბოლოს, GRECO მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უზრუნველყოს ანგარიშის გამოქვეყნება, მისი თარგმნა სახელმწიფო ენაზე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა.

